

კავკასიის ალბანური ანბანის გენეზისისათვის

ცნობები კავკასიის ალბანური დამწერლობის შესახებ დაცულია სომხურ საისტორიო მწერლობაში. წყაროთა ნაწილში (კორიუნის “მაშტოცის ცხოვრება”, მოვსეს ხორენაცის “სომხეთის ისტორია”, მოვსეს კალანკატუაცის “ალუანთა ქვეყნის ისტორია” და სხვა) აღწერილია ალბანური ანბანის შექმნა და მის ავტორად დასახელებულია მაშტოცი (იგივე მესროპი). ამ ცნობებს თუ დავეყრდნობით, ალბანური ანბანი, სომხურსა და ქართულ ალფაბეტებთან ერთად, შექმნილია V ს. I მეოთხედში.

ზოგიერთ წყაროში (მატენადარანის №1973 ხელნაწერი და სხვა) მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ ალბანელებს თავიანთი ანბანი გადაუღიათ სომხებისაგან, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული ალბანური დამწერლობის შემქმნელის ვინაობა.

სხვა წყაროები კი (დევონდი, დვინის 506 წლის საეკლესიო კრების მასალები და ა.შ.) გვაწვდის მხოლოდ ალბანური დამწერლობის არსებობის დამადასტურებელ ცნობებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთ დასახელებული წყაროები სომხურის ალფაბეტის რეფორმისა და ალბანურის “შექმნის” გარდა, მაშტოცს მიაწერს აგრეთვე ქართული ანბანის “შედგენას”, ალბანურის გენეზისის საკითხი უნდა განვიხილოთ სომხურ და ქართულ დამწერლობათა წარმოშობის საკითხთან ერთად.

ივ. ჯავახიშვილმა წარმოგვიდგინა სომხური საისტორიო წყაროების ტექსტოლოგიური კრიტიკა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მაშტოცის მიერ ქართული და ალბანური ალფაბეტების “შექმნის” შესახებ ცნობა კორიუნის “მაშტოცის ცხოვრების” თავდაპირველ რედაქციაში არ ყოფილა და იგი გვიანდელ ინტერპოლაციას წარმოადგენს. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილმა შეამჩნია, რომ V ს. სომეხი ავტორი ლაზარ ფარპეცი მაშტოცის მოღვაწეობის აღწერისას უხვად სარგებლობს კორიუნის ცნობებით, მაგრამ არ იცნობს მაშტოცის მიერ ქართული ან ალბანური დამწერლობის “შექმნის ფაქტს” [ჯავახიშვილი 1935, 181; ლაზარ ფარპეცი 1904].

VII ს. სომეხი ავტორი დავით გრამატიკოსი, რომელიც ვერცლად აღწერს სომხური ანბანის შექმნა-გამოგონებას,

საერთოდ არ ახსენებს მაშტოცის “ღვაწლს” ქართულისა და ალბანურის შექმნის საქმეში [აღონცი 1915].

ელიშე, სიბოესი, ანანია შირაკაცი და სხვა V-VII სს. სომეხი ისტორიკოსები მაშტოცის მოწვაწეობის აღწერისას ასევე არ გვაწვდიან ცნობებს მის მიერ ქართულ და კავკასიის ალბანურ ალფაბეტთა “შექმნის” შესახებ.

მოსე ხორენელი თავის თხზულებაში “სომხეთის ისტორია” იყენებს მაშტოცის სახელის მეორე ფორმას – მესროპს, რაც შედარებით გვიანდელი სომხური წყაროებისთვისაა დამახასიათებელი (VII ს.-დან) [მოვსეს ხორენაცი 1913].

“ალუანთა ქვეყნის ისტორიის” ავტორის ვინაობის საკითხი არ არის გარკვეული. სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება თხზულების შედგენის დროისა და მისი ავტორის შესახებ. მიუხედავად ამისა, ეჭვგარეშეა, რომ თხზულების ავტორი ან VII ს.-ში მცხოვრები თანაავტორი წარმოშობით ალბანელია, უტის გავარის სოფ. კალანკატუიკიდან არის წარმოშობით (როგორც თავად ავტორი მოგვასხსენებს) და მეტიც, იგი თავისი ქვეყნის პატრიოტია, რის შესახებაც მრავალი სანაქებო ეპითეტი მეტყველებს, რომლითაც იგი უხვად ამკობს თავის ქვეყანას, ხალხს, მეფეებსა თუ გამოჩენილ მოღვაწეებს, მაგ.: “ამ არანის (ალბანელთა მითიური წინაპარია, კავკასოსის შვილი) სახელოვან და მამაც შთამომავლებიდან ... წარმოიშვნენ უტიელთა, გარდმანელთა, წავდეელთა და გარგართა სამთავროს ხალხები” [მოვსეს კალანკატუაცი 1985, 26]. ამ ფონზე გაუგებრად გვეჩვენება ავტორის მიერ თავისი მშობლიური ენის დახასიათება, სადაც მესროპის მიერ გარგართათვის დამწერლობის “შექმნის” შესახებ არის საუბარი (გარგარული – კავკასიის ალბანური ენის ერთ-ერთი დიალექტია): – “ყელში მოუბარი, ხშული, მკაცრი და უხეში” [მოვსეს კალანკატუაცი 1985, 118]. ეჭვგარეშეა, რომ ამ შემთხვევაში გვაქვს მოსე ხორენელის თხზულების ფრაგმენტის გვიანდელი ინტერპოლაცია.

“ეპისტოლეთა წიგნში” გვხვდება ფრაზა, რომელიც სომხური და ქართული დამწერლობების “საერთო წარმოშობაზე” მიგვითითებს. ზ. ალექსიძემ შეამჩნია, რომ ამ წინადადების: – “საერთო დვთისმსახურება დაგვიწესეს ჯერ ნეტარმა გრიგოლმა და შემდეგ მაშტოცმა და წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად” (ეპისტოლე უ, 041-046; ხაზგასმა ჩვენია) – უკანასკნელი მონაკვეთი მექანიკურად

ჩართულია და ვერ ამყარებს სინტაქსურ კავშირს წინანადების პირველ ნაწილთან. ამ ეპისტოლეს საპასუხო წერილში არაფერია ნათქვამი მწიგნობრობაზე. ამასთანავე, აღნიშნული ეპისტოლე მოყვანილი აქვს უხტანესს (X ს.-ის ავტორია) თავის თხზულებაში “ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან”, მაგრამ ეს გაუმართავი წინადადება მასთან არ გვხვდება და, შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ “ეპისტოლეთა წიგნის” ძველ რედაქციებში (X ს.-მდე) ცნობა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ არ ყოფილა და იგი გვიანდელ ინტერპოლაციას წარმოადგენს [ეპისტოლეთა წიგნი 1968; უხტანესი 1975].

ნიშანდობლივია, რომ XIII ს.-ის სომეხი ავტორი მხითარ აირივანეცი თავის თხზულებაში “ქრონოგრაფიული ისტორია” მეფე ფარნავაზს ქართული დამწერლობის შემომდებლად მიიხსენებს. ბუნებრივია, მხითარ აირივანეცი იცნობს “სომხურ” ვერსიას ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, მაგრამ, ამის მიუხედავად, უპირატესობას ქართული ისტორიოგრაფიის ტრადიციულ ცნობებს ანიჭებს [მხითარ აირივანეცი 1990].

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ძველი ქართული დამწერლობა, სომხურისაგან განსხვავებით, სხვა სტრუქტურულ პრინციპებს ემყარება. ასომთავრულის პარადიგმატიკა ერკათავირთან შეპირისპირებით, დიამეტრულად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. ქართული ანბანის რიგი №1-დან №24 გრაფემამდე ინარჩუნებს ბერძნულისათვის დამახასიათებელ წყობას და რიცხვით მნიშვნელობებს. ბერძნულისაგან არ განსხვავდება ასევე ქართული ანბანის ამ ნაწილის ასო-ბგერათა ფონემური მნიშვნელობებიც, თუ არ ჩავთვლით ერთ გამონაკლისს: ბერძნული ანბანის №16 Ξ “სიგმა” ფონეტიკური მნიშვნელობით ქს ქართული ფონოლოგიური სისტემისათვის უცხოა და მას ქართულში შეესატყვისება ა “აჟ”. უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული ანბანთრიგი დაცულია “ეპისემონთა” №6 “დიგამა”-სა და №18 “კოფა”-ს შემთხვევაშიც. მათი ადგილები ქართულში უკავიათ უ “ვინ”-სა და ყ “ჟან”-ს.

“ბერძნული” ნაწილის შემდგომ (№25-36) თავმოყრილია ქართული სპეციფიკური თანხმოვნების აღმნიშვნელი გრაფემები. ბერძნული ანბანის პარადიგმატიკას ემყარება ასევე სომხური ანბანიც. ის იყენებს 21 “ბერძნულ” ასო-ნიშანს და სომხური სპეციფიკური ბგერებისათვის შექმნილ 15 გრაფემას. პრინციპული განსხვავება სომხურსა და ქართულ ალფაბეტებს

შორის მდგომარეობს იმაში, რომ სომხური თავის სპეციფიკურ ასო-ბგერებს განათავსებს არა “ბერძნული” ნაწილის შემდგომ (როგორც ეს არის ქართულში), არამედ განაბნებს მათ საკუთრივ “ბერძნული” ნაწილის ნიშნებს შორის რაიმე ლოგიკური კანონზომიერების გარეშე. შესაბამისად, “ბერძნული” ასო-ბგერების პოზიცია და რიცხვითი მნიშვნელობები იცვლება.

ქართული ანბანის გრაფიკა კი დიდ მსგავსებას ავლენს ჩრდილო-სემურ ანბანურ სამყაროსთან (ივ. ჯავახიშვილი, რ. პატარიძე...), რაც სრულიად გამორიცხულია სომხური ანბანის შემთხვევაში. ეს თავისთავად შეუძლებელს ხდის სომხური ალფაბეტის ავტორის მონაწილეობას ქართული დამწერლობის შექმნა-გამოგონებაში.

წარმოდგენილი არგუმენტების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სომხურ წყაროებში დაცული ცნობები მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ სარწმუნო არ არის. შესაბამისად, ასევე კრიტიკულად უნდა მივუდგეთ იმავე წყაროებს, რომლებშიც საუბარია კავკასიის ალბანური ანბანის შექმნა-გამოგონების შესახებ.

დღეს უდავოა, რომ ალბანური ანბანი (ამიერკავკასიის დანარჩენ დამწერლობებთან ერთად) ბევრი მახასიათებლის გამო უნდა მივაკუთვნოთ ე.წ. ბერძნულ ანბანთა ტიპს, ეს მახასიათებლებია: ბერძნულ ანბანთრიგზე დამყარებული ასო-ბგერათა წყობა, წერის მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ, ხმოვნების აღმნიშვნელ ასო-ნიშანთა არსებობა, უ ბგერის აღნიშვნა დიგრამით (o + u პრინციპით), რიცხვით მნიშვნელობათა გადმოცემა გრაფემებით და სხვა. ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ ალბანურს ყველაზე თვალსაჩინო მსგავსება აქვს სომხურთან (პარადიგმატიკის მხრივ) და ქართულთან (გრაფიკის მხრივ).

აკ. შანიძემ შენიშნა, რომ კავკასიის ალბანური ანბანი ბერძნულ ანბანთრიგს ემყარება, ამასთან მკვლევარმა ხაზი გაუსვა სომხურისა და ალბანურის პარადიგმატიკის სიახლოვეს [შანიძე 1957, 41-42].

ა. აბრამიანს კი მიაჩნდა, რომ ალბანური ანბანის მიერ ბერძნული ანბანთრიგის დაცვა გამოწვეულია სომხური ანბანთრიგის დაცვით (გამომდინარე იქიდან, რომ თვით სომხური ბერძნულ ასო-ბგერათა თანმიმდევრობას იცავს) [აბრამიანი 1964].

ალბანურ ანბანი წარმოდგენილია ილ. აბულაძის მიერ 1937 წ. აღმოჩენილ ენშიაძინის XV ს. ხელნაწერში (დღეს ეს

ხელნაწერი დაცულია ერევანში, მატენადარანის ბიბლიოთეკაში). ეს, შეიძლება ითქვას, ჯერჯერობით ერთადერთი წყაროა, რომელშიც მოცემულია ალბანური ანბანის გრაფიკათა რაოდენობა, მათი სახელწოდებები და ასო-ბგერათა რიგი. ალბანური ანბანის მეორე ნუსხა წარმოდგენილია არმენოლოგ ა. ქურდიანის მიერ 1956 წ. აშშ-ში აღმოჩენილ XVI ს. სომხურ ხელნაწერში, და იგი, სავარაუდოდ, ეჩმიაძინის ნუსხის ასლია. ალბანური ანბანის ა. ქურდიანის ნუსხა მატენადარანის ხელნაწერთან შედარებით გარკვეულ განსხვავებებს იძლევა, როგორც გრაფიკათა მოხაზულობის თვალსაზრისით, ისე მათ სახელდებაში, თუმცა გრაფიკათა რაოდენობა და ანბანთრიგი ზუსტად ემთხვევა ეჩმიაძინის ხელნაწერში წარმოდგენილს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა ვარაუდი, რომ დასახელებულ ხელნაწერთა გადაშვებებმა დააღაგეს ალბანური ნიშნები სომხურ ანბანთრიგზე და, შესაბამისად, ალბანურ ანბანს ჩვენ დამახინჯებული, “გასომხებული” სახით ვიცნობთ. ეს ვარაუდი მართებულად არ მიგვაჩნია. კვლევამ გვიჩვენა, რომ სომხურ ხელნაწერებში წარმოდგენილი ალბანური ანბანი მთლიანობაში ზუსტი უნდა იყოს. ამის შესახებ მეტყველებს მატენადარანის ხელნაწერში სხვა წარმოდგენილ ალფაბეტთა (ბერძნული, ლათინური, ქართული, სირიული, კობტური და არაბული) გადმოცემის მეტ-ნაკლები სიზუსტე და ალბანური ანბანის ორივე ნუსხის შედარება ერთმანეთთან, სინურ პალიმფსესტში გრაფიკათა რიცხვის ფუნქციით გამოყენების შემოწმებული ფაქტები და ალბანური ანბანის ორი არასრული ეპიგრაფიკული ნუსხა, კერძოდ, **წარწერა №2 შანდალზე** და **წარწერა №2 კრამიტის ნატეხზე**, სადაც მოცემულია ალბანური ანბანის მონაკვეთები №1-10 და №29-32. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონაკვეთთა ასო-ნიშანების თანმიმდევრობა ზუსტად იმეორებს სომხურ ხელნაწერთა ანბანთრიგს.

ყურადღებას გავამახვილებთ ეპიგრაფიკულ ნუსხათა ზოგიერთი გრაფემის პოზიციაზე:

1. ალბანური ანბანის №8 **ქ** “ქილ”-ს გამოსახავს გრაფიტი №2 შანდალზე №7 **კ**-სა და №9 **კ** ნიშნებს შორის. ეს ასო-ბგერები ბერძნულ **κ** “კეტა”-სა და **θ** “თეტა”-ს შეესატყვისება და ცნობილია, რომ ბერძნულში ამ გრაფემებს შორის არავითარი ნიშანი არ გვხვდება.

2. ალბანური ანბანის №30 **ჯ** “\*ჯარ”-ს გამოსახავს გრაფიტი

№2 კრამიტის ნატეხზე **ჟ** (მ) და **ჟ** (ნ) ნიშნებს შორის, ბერძნულში კი **μ** “მო”-სა და **ν** “ნუ”-ს შორის გრაფიკა არ გვაქვს.

უნდა დავასკვნათ, რომ ალბანური სომხურის მსგავსად, თავის სპეციფიკურ ასო-ბგერებს “ბერძნული” ნაწილის ნიშნებს შორის განაბნევს, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ალბანურში ასო-ბგერათა დალაგების ეს პრინციპი სომხურისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნა. ამის დასადაგენად საჭიროა, შემოწმდეს, თუ რამდენად ემთხვევა სომხური ანბანის სპეციფიკური “არაბერძნული” ასო-ბგერების ადგილი ანბანში მათ ალბანურ ფონეტიკურ ექვივალენტებთან.

ბერძნული ანბანის **λ** და **ρ** ასო-ნიშნების ადგილას სომხურში გვაქვს **ღ** და **ნ**. საყურადღებოა, რომ კავკასიის ალბანური ანბანის “მარტივი” **რ** (№42 **ა**) დგას სომხურის “კოშტი” **რ**-ს (ნ) ანუ ბერძნული **ρ**-ს (ρ) ადგილას. ეს ფაქტი ალბანურის უშუალოდ ბერძნულის საფუძველზე შექმნას გვიჩვენებს, თუმცა ამ პრინციპიდან გამომდინარე, ალბანურის “მარტივი” **ლ** (№15 **ა**) უნდა იყოს სომხური **ღ**-ს (resp. ბერძნული **λ**-ს) ადგილას, მაგრამ აქ საპირისპირო ვითარება გვაქვს და **ღ** სომხური ანბანის “არაბერძნული” **ღ**-ს პოზიციური კორელატია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბერძნული **λ** ალბანურში პოზიციური შესატყვისის გარეშე რჩება. მის ადგილას ალბანური ანბანის №22 “**ლიტ**” დგას, თანაც სომხური **ღ**-საგან დამოუკიდებლად. თუ ამ ბგერის ფონემური ღირებულება (**ლ**) საბოლოოდ დადასტურდა, მაშინ ეს ალბანური ანბანის უშუალოდ ბერძნული ალფაბეტის პარადიგმატიკის საფუძველზე შექმნის კიდევ ერთი დამამტკიცებელი ფაქტი იქნება.

უეჭველია, რომ სომხური **ქ**, **ჟ**, **ხ**, **ჯ** და **ღ** ასო-ბგერების ადგილი ანბანში ალბანური ფონეტიკური კორელატების (**ქ**, **ჟ**, **ა**, **ჯ**, **ხ**) ადგილს ემთხვევა; ალბანურის **კ**, **ქ**, **ჯ** ბგერის აღმნიშვნელი ორივე გრაფემის (№32 და №34) და **ა**-ს ადგილები არ ემთხვევა სომხურის **ბ**, **ქ**, **ღ**, **ღ** ასო-ბგერებისას; როგორც ჩანს, ალბანურ ანბანს სომხური **ღ**-ს შესატყვისი ბგერა არ ჰქონდა; ხუთ შემთხვევაში კი (ბ, ბ, ბ, ჯ და გ), ალბანურში შესაბამისი ასო-ბგერების ჟღერადობის დაუდგენლობის გამო, ეს საკითხი გადაუჭრელია. ნათქვამს თუ შევაჯამებთ, ხუთ შემთხვევაში ჩვენ სომხურისა და ალბანური ანბანის ასო-ბგერათა ადგილის

თანხვედრა გვაქვს, ოთხ შემთხვევაში არ გვაქვს, ხოლო ხუთი გრაფემის საკითხი გარკვევას მოითხოვს. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ალბანური ზედმიწევნით იცავს ბერძნულ ანბანთრიგს, ხოლო სომხურს მკაცრად არ იცავს (თუ იცავს საერთოდ).

გრაფიკული თვალსაზრისით კავკასიის ალბანური უეჭველად ორიგინალური ანბანია, თუმცა მოხაზულობის მხრივ შესამჩნევია ზოგიერთი ალბანური გრაფემის მსგავსება სომხურ ან ქართულ ასო-ნიშნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულსა და ალბანურს შორის მეტი გრაფიკული პარალელის პოვნაა შესაძლებელი (აქ არ მოგვეყავს ფონეტიკურად განსხვავებულ ასო-ნიშანთა გრაფიკული თანხვედრები), შდრ.:

სომხური	კავკასიის ალბანური
Է (ე)	Է (ეე)
Ի (ი)	Ի (ი)
Ե (ე)	Ե (ე) – ანტიფორმა
Բ (ბ)	Բ (ბ) – ინვერსიული ფორმა

მეორეს მხრივ, შდრ.:

ქართული	კავკასიის ალბანური
Ⴀ (ი)	Ⴀ (ე)
ს (ს)	ს (*შ)
ჟ (ვ)	ჟ (ჟ)
ა (ო); აჟ (უ)	ა (ო); ა-ჟ (უ)
ქ (ქ)	ქ (ქ)
ჯ (ა)	ჯ (ა) – ინვერსიული ფორმა

ალბანური ანბანის ნიშანთა სახედლებაც ორიგინალური ჩანს. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გვაქვს მსგავსება ქართულთან ან სომხურთან, რაც შემთხვევითი უნდა იყოს: სომხ. *ჩაჲ/ჩა* – ალბ. *ჩაჲ*; სომხ. *ცოჲ* – ალბ. *ცოჲ*; სომხ. *გიმ* – ალბ. *\*გიმ*... ქართ. *ენ* – ალბ. *ენ*; ქართ. *ინ* – ალბ. *ინა*; ქართ. *პაე* – ალბ. *პაჲ*...

ზოგიერთი ასო-ნიშნის მსგავსების გარდა, ალბანური და ქართული ალფაბეტების გრაფიკული სტრუქტურა ერთი და

იმავე რელევანტური ნიშნებით უპირისპირდება ერკათაგირს. პირველი არის – ასო-ბგერათა ზედა და ქვედა ჰორიზონტალური ხაზების არსებობა, რომლის მეშვეობითაც ხდება ასო-ნიშნების “ქვეცნობიერი” გასწორება წერისას, ანუ დამწერლობის მონუმენტურობის უზრუნველყოფა. ქართული ასომთავრულის 37 ასო-ნიშნიდან ასეთი იყო 19 (ე.ი. ნახევარზე მეტი), 16-ს ჰქონდა ზედა ჰორიზონტალური ხაზი, 4-ს კი ქვედა. მათ შორის, ერთს (ჟ) – ორივე ხაზი ჰქონდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამი მათგანი ხმოვანია (ჯ, ი და Ⴀ), ანუ მათ გამოყენების მაღალი სიხშირე ჰქონდათ. სომხურის 36 გრაფემიდან კი ასეთია მხოლოდ 9 ასო-ბგერა (2-ს ზედა ხაზი აქვს, 7-ს კი – ქვედა; 7 მათგანი თანხმოვანია, ხოლო Է და Ը ხმოვნებია, აქედან Ը ასო-ბგერა ძველ სომხურში არ გამოირჩეოდა გამოყენების მაღალი სიხშირით). კავკასიის ალბანური ანბანის 52 გრაფემიდან ზედა და ქვედა ჰორიზონტალური ხაზები 30 ასო-ნიშანს ჰქონდა (18-ს მხოლოდ ზედა, 7-ს – ქვედა, ხოლო 5-ს ორივე დამატებითი ხაზი ჰქონდა; 7 მათგანი ხმოვანი იყო [უ ბგერის აღმნიშვნელი ორივე დიგრამის ჩათვლით], 4-ს ზედა ხაზი ჰქონდა, 2-ს კი – ქვედა, ხოლო Է გრაფემას – ორივე). ეს ამტკიცებს იმას, რომ ალბანური ანბანის გრაფიკული სტრუქტურა ტიპოლოგიურად და გენეტიკურად ქართულ ასომთავრულს უკავშირდება [ქურდიანი 1993: 25-26].

მეორე რელევანტური ნიშანი, რომლის საშუალებითაც ქართული და ალბანური ალფაბეტები უპირისპირდება ერკათაგირს, არის ის, რომ ქართულის მსგავსად (რ. პატარიძე, ვ. ბოედერი, თ. ჩხენკელი, ე. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე...), კავკასიის ალბანური ასომთავრულის გრაფემათა მოზრდილი ნაწილი ვერტიკალური ხაზისა და წრეხაზის (რგოლის) კომბინაციას წარმოადგენს. ქართულ ასომთავრულში “ხაზოვან-რგოლურ” გრაფემათა რაოდენობა 21 შედგენს [პატარიძე 1980: 153] და მათ შორის 14-ს დახურული, შეკრული რგოლი აქვს. ალბანურ ასომთავრულში ასეთ გრაფემათა რაოდენობა 28-ს შეადგენდა და 12 მათგანს შეკრული წრე ჰქონდა. საყურადღებოა, რომ სომხურ ანბანში მხოლოდ ერთი “ხაზოვან-რგოლური” გრაფემა გვხვდება<sup>1</sup> – ჟ და ისიც უეჭველად

<sup>1</sup> სომხურს მოეპოვება გრაფემათა ერთი ჯგუფი, რომელიც თითქოსდა აღნიშნულ ტიპს მიეკუთვნება, ესენია: ს, Ե, Կ, Ը, Բ, Ը, Դ, Ը, Թ, Գ, Ծ. სომხური ანბანის გრაფიკული სტრუქტურიდან გამომდინარე, ეს გრაფემები სულ სხვა –

გადმოღებულა ბერძნული ანბანიდან.

ამის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ გრაფიკული ხერხი, რომლის მეშვეობითაც შექმნილია ქართული და კავკასიის ალბანური ასომთავრულის ასო-ბგერათა ნახევარზე მეტი, სომხურში საერთოდ არ არის რეალიზებული.

კავკასიის ალბანური “ასომთავრული” და სომხური ერკათავირი პირობითობის პრინციპზე აგებული სისტემებია (რაც მათ ხელოვნურ ხასიათზე მიგვითითებს), მაგრამ ისინი სხვადასხვა პირობითი ნიშნებით სარგებლობენ: ალბანურ ასომთავრულში გრაფიკის ძირითად ფორმებად წრე (// ნახევარწრე) და სწორი ხაზია აღებული (ქართული ასომთავრულის მსგავსად), ხოლო სომხურ ანბანში ცალკეული ჯგუფების შესაქმნელად გამოყენებულია გარკვეული მზა მოხაზულობის მქონე ფორმები [სევაკი 1962].

კავკასიის ალბანური ანბანის კვლევამ გვიჩვენა, რომ მაშტოცის (იგივე მესროპის) მონაწილეობა კავკასიის ალბანური ანბანის შექმნაში სრულიად გამორიცხულია. თუ ალბანური მართლაც მაშტოცის მიერაა შექმნილი, ბუნებრივია, ის ისევე დაეფუძვნებოდა სომხურ პარადიგმატიკას, როგორც ეს უკანასკნელი – ბერძნულს, შდრ.: სომხური ანბანი 21 ბერძნულ ასო-ბგერას იყენებს, ანუ კლასიკური ბერძნულის №1-24 ნაწილს, “ეპისემონთა” გამოკლებით. სომხურში ზუსტად დაცულია ამ ბერძნულ ასო-ბგერათა თანმიმდევრობა და ფონემური მნიშვნელობები, თუ არ ჩავთვლით λ/η და ρ//ռ, მაგრამ აქაც მსგავსი ჟღერადობის ფონემები გვაქვს.

ალბანურისა და სომხურის შედარებისას კი ირკვევა, რომ სულ მცირე, ოთხი სომხური ბგერის ალბანურ ფონეტიკურ შესატყვისებს ანბანში სხვა ადგილი უკავიათ, მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიური ჟღერადობის ბგერები ალბანურს ჰქონდა, მაგ.: სომხურ ქ-ს (Կ) შეესატყვისება ალბანური ჯ (j), სომხურ ღ-ს (ղ) – ალბანური ჯ (d)...

ჩვენთვის მიუღებელია ის თვალსაზრისი, რომელიც ალბანურს *a priori* სომხურისაგან მიმდინარედ მიიჩნევს. ეს მოსაზრება კავკასიის ალბანური ანბანის არც პარადიგმატიკისა და არც გრაფიკის ანალიზით არ მტკიცდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სრულიად გამოვრიცხავთ სომხური ანბანის რაიმე

ე.წ. ნალისებურ ტიპს უნდა მივაკუთვნოთ. აღნიშნული ასო-ნიშნები წარმოიშვნენ სრული ნალის ერთ-ერთი ვერტიკალის შემოკლებით: **U** > **ს** > **ხ** > **ჟ**; **Ϫ** < **U**; **ϫ** > **ლ** > **ღ**; **ϫ** < **ϫ** < **ლ** < **ქ** < **ϫ**.

გავლენას კავკასიის ალბანურზე. საფიქრებელია, რომ კავკასიის ალბანური ანბანი ქართული და სომხური ალფაბეტების შემდეგაა შექმნილი და მის შემდგენელს გათვალისწინებული აქვს როგორც ქართული, ასევე სომხური ანბანის თავისებურებები. ამით უნდა აიხსნას პარადიგმატიკის ტიპოლოგიური მსგავსება და გარკვეული გრაფიკული პარალელების არსებობა სომხურსა და ალბანურს შორის.

**კავკასიის ალბანურის, ბერძნულისა და სომხურის შედარებითი პარადიგმატიკა**

№	ალბანური	ფონემური მნიშვნელობა	№	სომხური	ფონემური მნიშვნელობა	№	ბერძნული	* ფონემური მნიშვნელობა
1	ა	ა	1	Ա ա	ა	1	Α α	ა
2	ბ	ბ	2	Բ բ	ბ	2	Β β	ბ
3	გ	გ	3	Գ գ	გ	3	Γ γ	გ
4	*დ	*ღ	4	Դ դ	ღ	4	Δ δ	ღ
5	ე	ე	5	Ե ե	ე	5	Ε ε	ე
6	ზ	ზ	6	Զ շ	ზ	7	Ζ ζ	ზ
7	ღ	ეღ [*ჟ]	7	Է է	[ე]	8	Η η	ე
8	ქ	*ქ	8	Ը ը	ღ			
9	თ	თ	9	Թ թ	თ	9	Θ θ	თ
10	ც	*ჭ						
11	ჩ	ღ						
12	ც	*ჭ	10	Ժ ժ	ქ			
13	ც	ო	11	Ի ի	ო	10	Ι ι	ო
14	ს	შ						
15	რ	ლ	12	Լ լ	ლ			
16	*კ	*ო						
17	ვ	ხ	13	Խ խ	ხ			
18	ბ	*ღ						
19	ჟ	*ღ	14	Ս Տ	ღ			

20	ბ	*ჴ						
21	Ⴡ	კ	15	ყ	კ	11	Κ	κ
22	*ძ	*ღ				12	Λ	λ
23	ჩ	ჰ	16	ჯ	ჰ			
24	ც	*ც	17	ძ	ძ			
25	*წ	*ძ	18	ღ	ღ			
26	ძ	*ც						
27	ჭ	*ჭ	19	ღ	ჭ			
28	*წ	*წ						
29	ყ	მ	20	შ	მ	13	Μ	μ
30	ღ	ყ	21	ჭ	ღ			
31	ყ	ნ	22	ჩ	ნ	15	Ν	ν
32	ყ	ჴ?						
33	ჭ	*ჭ	23	ტ	ჭ	16	Ξ	ξ
34	ყ	ჴ?						
35	ო	ო	24	პ	ო	17	Ο	ο
36	ღ	*ღ						
37	ქ	*ჭ						
38	წ	*ძ						
39	ყ	ჩ	25	ჯ	ჩ			
40	ჩ	კ	26	ღ	კ	18	Π	π
41	ს	ღ	27	ღ	ჴ			
42	ქ	რ	28	ჩ	რ	19	Ρ	ρ
43	ჩ	ს	29	შ	ს	20	Σ	ς
44	ჩ	მ	30	ქ	მ			
45	ჭ	ტ	31	შ	ტ	21	Τ	τ
46	ჭ	*ს	32	ჩ	რ			
47	შ	ო						
48	ყ	*წ						
49	ყ	*ც	33	გ	ც			
50	ჩ	ჭ	34	ჩ	ჭ	22	Υ	υ
51	ყ	ფ	35	ფ	ფ	23	Φ	φ
52	ქ	ქ	36	ჭ	ქ	24	Χ	χ

*შენიშვნა.* ვარსკვლავი (\*) კავკასიის ალბანური ანბანის გრაფიკაში გრაფაში პალიმფსესტსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაუდასტურებელ გრაფემას აღნიშნავს; ვარსკვლავი (\*) ფონემური მნიშვნელობის გრაფაში აღნიშნავს სავარაუდო ფონემურ მნიშვნელობას; \* დიაკრიტიკულ ნიშანს ფარინგალიზებული ბგერებისათვის ვიყენებთ; ბერძნულ ნიშანთა ტრანსკრიპცია მოცემულია პირობითად, იმის მიხედვით, თუ რა ბგერებით გადმოიცემა ბერძნული ასო-ნიშნები ამიერკავკასიის ალფაბეტებში. შედარებისათვის არ არის მოხმობილი ქართული ანბანი, რომელიც №1 ასო-ბგერიდან (“ან”) №24 ასო-ბგერამდე (“ქან”) ბერძნულ ასო-ნიშანთა თანმიმდევრობას იმეორებს.

ა

ფერით აღნიშნულია ალბანური, სომხური და ბერძნული ასო-ბგერების თანხვედრის შემთხვევები.

\*ღ

ფერით აღნიშნულია ალბანური, სომხური და (//ან) ბერძნული ასო-ბგერების შესაძლო თანხვედრის შემთხვევები.

\*ქ

ფერით აღნიშნულია ალბანური და სომხური ასო-ბგერების უეჭველად დაუმთხვევლობის შემთხვევები.

ღ

ფერით აღნიშნულია ალბანური და სომხური ასო-ბგერების თანხვედრის შემთხვევები და დამთხვევის დიაპაზონი.

რ

ფერით აღნიშნულია ოდენ ალბანური და ბერძნული ასო-ბგერების თანხვედრის შემთხვევები.

### К генезису кавказско-албанского алфавита

Сведения о существовании кавказско-албанского письма сохранены в армянской историографии. В части этих источников, к которым прежде всего следует отнести «Житие Маштоца» Корюна, «Историю Армении» Мовсеса Хоренаци и «Историю страны Алуанк» Мовсеса Калакантуаци, помимо подтверждения факта существования албанского письма, называется также имя его «создателя» – Маштоца (того же Месропа). Если основываться на этих сведениях, то время создания албанской письменности можно обозначить I четвертью V в.

Некоторые источники (матенадаранская рукопись № 1973 и пр.) говорят о взятии албанцами алфавита у армян, без упоминания имени создателя кавказско-албанского алфавита.

В остальных (Гевонд, «Материалы Двинского [506 г.] собора» и др.) лишь подтверждается факт существования албанской письменности.

Исходя из сведений части армянских источников, вопрос генезиса закавказских алфавитов следует рассматривать сообща, так как в вышеуказанных источниках, помимо реформы армянского и «создания» албанского алфавитов, Маштоцу также приписывается «создание» грузинского письма.

Ив. Джавахишвили провел текстологический анализ армянских письменных источников и пришел к выводу, что сведений о «создании» Маштоцем грузинского и албанского алфавитов в «Житии Маштоца» Корюна не было, и они вставлены позже; в частности, Ив. Джавахишвили заметил, что армянский летописец V в. Лазар (Газар) Парпеци использует указанное произведение Корюна, но ничего не знает о «создании» грузинского и албанского алфавитов Маштоцем [Джавахишвили 1935: 181; Газар Парпеци 1904].

Не сообщает о «создании» грузинского и албанского алфавитов Маштоцем и автор VII в. Давид Грамматик, также подробно передавший историю возникновения армянского письма [Адонц 1915].

Следует отметить, что Егише (Елише), Себеос, Анания Ширакаци и другие авторы V-VII вв. также не упоминают об «изобретении» грузинского и албанского алфавитов Маштоцем.

Мовсес Хоренаци использует в своем произведении вторую форму имени Маштоца — Месроп, что нехарактерно для армянских источников раннего периода. Указанная форма начинает использоваться с VII в. [Мовсес Хоренаци 1913].

Вопрос авторства «Истории страны Алуанк» не решен. В

специальной литературе были высказаны различные предположения о времени написания и личности автора этого произведения. Несмотря на это, ни один из исследователей не сомневался в происхождении автора или соавтора, жившего и описавшего события до VII в. Он, безусловно, был из с. Каланкатуйк гавара (провинции) Утик, т.е., являлся жителем Кавказской Албании (как и повествует сам автор) и был патриотом своей страны, о чем свидетельствуют многочисленные хвалебные эпитеты, употребляемые автором по отношению к своей стране, народу, ее царям и выдающимся деятелям, напр.: «из славных и храбрых потомков этого Аррана (мифический праотец албанцев, сын Кавкасоса) ... произошли народы утийского, гардманского, цавдейского и гаргарского княжеств» [Мовсес Каланкатуаци 1985: 26]. На этом фоне выглядит неожиданной характеристика родного языка, данная автором, когда в повествовании говорится о «создании» Месропом алфавита для гаргар (нужно полагать, что гаргарский – это один из диалектов кавказско-албанского языка): «гортанный, глухой, неблагозвучный, грубый» [Мовсес Каланкатуаци 1985: 118]. Безусловно, здесь мы имеем вставку из «Истории Армении» Моисея Хоренского.

В «Книге эпистол» встречается фраза, указывающая на якобы общее происхождение грузинской и армянской письменности. З.Н.Алексидзе заметил, что последний отрывок этой фразы: – «общее Богослужение установили для нас [армян и грузин] сначала Блаженный Григорий, а затем Маштоц и знание книги (resp. письменности) для утверждения веры (эпистола **Ծ**: 041-046; подчеркнуто нами) – не входит в синтаксические отношения с первой частью предложения. В ответном письме ничего не сказано о письменности и вместе с этим вышеуказанная эпистола приведена Ухтанесом в «Истории отделения грузин от армян» (X в.), но эта фраза у него не встречается; таким образом, можно сделать вывод, что в древних редакциях «Книги эпистол» (до X в.) указаний на «создание» грузинского алфавита Маштоцем не было, а приведенная фраза представляет собой последующую интерполяцию [Книга эпистол 1968; Ухтанес 1975].

Показательно, что автор XIII в. Мхитар Айриванеци в своей «Хронографической истории» называет царя Парнаваза создателем грузинской письменности. Безусловно, Мхитар Айриванеци знает об «армянской версии» происхождения грузинской азбуки, но, несмотря на это, отдает предпочтение традиционным сведениям грузинской историографии [Мхитар Айриванеци 1990].

Представляется особенно важным, что грузинская письменность, в отличие от армянской, основана на других структурных принципах. Парадигматика асомтавули в сравнении с еркагагиром представляет

собой диаметрально противоположную систему. Буквы №1-24 грузинского алфавита повторяют греческий алфавитный порядок и числовые значения. Не считая одного легко объяснимого исключения, тождественны и фонетические значения букв грузинского и греческого алфавитов: греческая №16 **Ξ** (*сигма*) со значением *ks* была чужда грузинской фонологической системе и ей в асомтаврули соответствует **ჟ** (*je*). Необходимо отметить, что греческий алфавитный порядок сохранен и в случае т.н. эписемонов. Это №6 (*дигамма*) и №18 (*коппа*). В грузинском им соответствуют **ქ** «*vin*» и **ჭ** «*ჭან*». Вторая часть грузинского алфавита (№25-36) отведена буквам для «специфических» грузинских согласных.

Армянский алфавит также построен на греческой парадигматике. Он состоит из 21 «греческой» и 15 специфических «армянских» букв. Принципиальное различие между грузинским и армянским состоит в том, что армянский свои специфические буквы помещает не после «греческой» части, как это в грузинском, а разбрасывает их среди «греческих» букв без всякого обоснования и видимой логики. Соответственно, место и числовое значение т.н. греческих букв меняется. В плане графики же грузинский алфавит обнаруживает большую близость с северо-семитским алфавитным миром (Ив. Джавахишвили, Р. Патаридзе...), что невозможно предположить для армянского алфавита. По нашему мнению, эти факты уже сами по себе полностью отрицают возможность какого-либо участия создателя армянского письма в разработке грузинского асомтаврули.

На основании приведенных аргументов можно заключить, что сведения той части армянских источников, в которых говорится о «создании» Маштоцем грузинской письменности, неверны. Соответственно, необходимо так же критически относиться к сведениям тех же источников, когда в них описывается «создание» кавказско-албанского письма.

Бесспорно, что кавказско-албанский алфавит (как и остальные закавказские) можно причислить к т.н. греческому типу азбук. На это указывают основанный на греческом алфавитный ряд, направление написания слева направо, наличие знаков для гласных, выражение звука **и** диграммой (по принципу **ο + υ**), передача цифровых значений графемами и т.д. Вместе с этим, необходимо отметить, что кавказско-албанский алфавит характеризуется заметной близостью с армянским (в плане парадигматики) и с грузинским (в плане графики).

Еще А.Г.Шанидзе заметил, что албанский алфавит построен на основе греческой парадигматики, и при этом исследователь подчеркнул

типологическую близость кавказско-албанского и армянского алфавитов [Шанидзе 1957: 41-42].

А.Г.Абрамян считал, что соблюдение албанским алфавитом греческого порядка есть следствие соблюдения армянского порядка (исходя из того, что сам армянский соблюдает греческий алфавитный порядок) [Абрамян 1964].

Кавказско-албанский алфавит нам известен, прежде всего, из найденной И.В.Абуладзе в 1937 г. эчмиадзинской №7117 рукописи (ныне она хранится в библиотеке «Матенадаран» в Ереване). Это практически единственный источник, в котором, как следует полагать, дан полный перечень албанских букв, их фонетические значения и порядок их следования. Второй список кавказско-албанского алфавита представлен в найденной в США в 1953 г. арменологом А. Курдяном армянской рукописи XVI в. Это предположительно более поздний список с вышеназванной рукописи. Этот список алфавита обнаруживает некоторые расхождения с эчмиадзинским (матенадаранским) списком, как в графике, так и в названиях графем, хотя алфавитный ряд и количество букв точно соответствуют данным в матенадаранской рукописи.

В научной литературе высказано предположение, что переписчики этих рукописей расположили графемы албанской азбуки в армянском алфавитном порядке и, как следствие, с албанским алфавитом мы знакомы в его искаженном, «арменизированном» виде. Не представляется возможным согласиться с этим предположением. Исследование показало, что представленный в армянских рукописях албанский алфавит, в целом, заслуживает доверия. На это указывает более или менее точная передача других алфавитов в матенадаранской №7117 рукописи, сравнение обоих списков кавказско-албанского алфавита, случаи использования графем для передачи цифровых значений в синайском албано-грузинском палимпсесте и два неполных эпиграфических списка албанского алфавита, это «*надпись на подсвечнике №2*» и «*надпись на черепке №2*», в которых представлены фрагменты кавказско-албанского алфавита №1-10 и №29-32, причем, порядок следования букв в этих отрывках точно соответствует алфавитному ряду албанской азбуки, данному в армянских рукописях.

Подробнее остановимся на позиции некоторых букв этих списков:

1. №8 буква албанского алфавита **բ** «*žil*» изображена на *надписи №2 на подсвечнике* между буквами №7 **ц** и №9 **ჟ**. Эти буквы соответствуют греческим **η** «*beta*» и **θ** «*theta*» и, как известно, в греческом между этими знаками нет никакой буквы;

2. №30 буква албанского алфавита **ღ** «*\*qar*» изображена на *надписи*

№2 на черепке между **Գ** (m) и **Չ** (n). В греческом между **μ** “mo” и **ν** “nu” нет никакого знака.

Эти примеры показывают, что албанский, подобно армянскому, разбрасывает графемы для своих специфических звуков среди букв «греческой» части алфавита, но можно предположить, что в албанском похожий принцип расстановки букв возник независимо от армянского. Для решения этого вопроса необходимо установить, насколько совпадают позиции специфических «негреческих» букв армянского алфавита с соответствующими фонетическими эквивалентами кавказско-албанского.

В армянском греческим **λ** и **ρ** соответствуют **ղ** и **ր**. Тот факт, что албанская «простая» **г** (№42 **Գ**) стоит на месте армянской твердой **ղ** (г; греч. греческого **ρ г**), является сугубо «греческим» явлением в кавказско-албанском алфавите. Напротив, по такому же принципу албанская **Դ** (d) должна была находиться на месте армянской **ղ** (l), но ее позиционным коррелятом является армянская «простая», но «негреческая» **լ** (l). Это не означает того, что греческая **λ** не может совпадать с близкой по звучанию албанской буквой. Ей соответствует №22 албанского алфавита **Ո՛** «liŋ», причем, независимо от армянской **ղ**. Если фонетическое значение этой албанской буквы будет установлено как разновидность звука **l**, то это станет еще одним доказательством создания кавказско-албанского алфавита непосредственно на основе греческой парадигматики.

Рассмотрим вопрос о соответствиях для армянских специфических графем в албанском алфавите: армянские **Լ, Խ, Զ, Ծ, Կ** совпадают по месту с албанскими **Դ, Կ, Զ, Ծ, Կ**. Однозначно, не совпадают позиции **Յ, Ձ, Ը** и **Ջ** с албанскими **Յ, Զ, Ը** и с обеими графемами, предположительно обозначающими звук **ʒ** (**Յ** и **Զ** – №32 и №34). Армянская **Ը**, по-видимому, не имеет фонетического аналога в албанском языке. В пяти случаях, из-за неустановленности значений соответствующих графем кавказско-албанского алфавита, этот вопрос не решен окончательно, это – **Մ, Ս, Զ, Ծ, Յ**. Таким образом, в 5 случаях положение армянских графем совпадает с положением аналогичных албанских, а в 4 случаях не совпадает. Исходя из этого, можно заключить, что кавказско-албанский алфавит строго не соблюдает армянский алфавитный порядок (если соблюдает вообще) и в то же время в албанском нигде не нарушается порядок следования букв греческого алфавита.

В графическом отношении кавказско-албанский алфавит, несомненно, оригинальная система, хотя можно найти как албано-армянские, так и албано-грузинские яркие параллели, причем, количество последних заметно выше, срв.:

Армянская	Кавказско-албанская
<b>Է</b> (ē)	<b>Է</b> (ej)
<b>Գ</b> (w)	<b>Դ</b> (w)
<b>Ե</b> (e)	<b>Ե</b> (e) – антиформа
<b>Բ</b> (b)	<b>Բ</b> (b) – инверсионная форма

В свою очередь:

Грузинская	Кавказско-албанская
<b>ႀ</b> (i)	<b>Դ</b> (j)
<b>ႁ</b> (s)	<b>Է</b> (*šə)
<b>ႂ</b> (w)	<b>Դ</b> (w)
<b>ႃ</b> (o); <b>ႄ</b> (u)	<b>Ե</b> (o); <b>Ե</b> (u)
<b>ႅ</b> (k)	<b>Զ</b> (k)
<b>ႆ</b> (a)	<b>Զ</b> (a) – инверсионная форма

*Примечание:* не приводим графических совпадений букв с абсолютно разными фонетическими значениями.

Названия букв албанского алфавита так же, по-видимому, оригинальны. Мы лишь в нескольких случаях имеем совпадение или близость с соответствующими наименованиями в армянском или грузинском: арм. **ճայ/ճա** — алб. **ճaj**; арм. **coj** — алб. **coj**; арм. **gim** — алб. **gim**. В свою очередь: груз. **en** — алб. **\*ejn**; груз. **in** — алб. **ina**; груз. **hae** — алб. **haj** и т.д. Следует полагать, что это случайное явление

Кроме совпадения или близости начертаний некоторых графем кавказско-албанского и грузинского алфавитов, их графические структуры по одним и тем же релевантным признакам противопоставлены структуре еркатагира. Первый признак, которым грузинское асомтаврული и кавказско-албанский алфавит отличаются от армянского алфавита, – это

частота использования в графемотворчестве верхних и нижних горизонтальных прямых линий, с помощью которых происходит «подсознательное» выравнивание букв при письме, т.е. обеспечивается монументальность письменности. В грузинском алфавите из 37 букв 19 (т.е. более половины) имеют верхние или нижние линии. Из них 16 букв имеют верхние горизонтальные линии, а четыре - нижние (в том числе, у одной буквы - **ჟ**, имеются обе линии). Необходимо учесть, что в числе таких букв три графемы обозначают гласные звуки (**ჲ**, **ჟ** и **ჟ**), отличающиеся частым употреблением.

В армянском алфавите из 36 букв таких всего девять (т.е. четверть). Из них две буквы имеют верхние горизонтальные линии, семь – нижние. Семь графем обозначают согласные звуки, а **Է** и **Ը** – гласные, причем, буква **Ը** в древнеармянском не отличалась частым употреблением.

Из 52 графем кавказско-албанского алфавита верхние и нижние горизонтальные линии имелись у 30 букв. Из них 18 букв имели лишь верхние горизонтальные линии, семь – нижние, а пять букв – обе. 23 знака используется для обозначения согласных, а семь – для гласных (включая оба диграфа для обозначения звука **u** и его фарингализованной разновидности – **u̠** и **ū̠**). В том числе: четыре буквы имели верхние линии, две – нижние, а одна (**Ը**) – обе. Это подтверждает то, что графическая структура кавказско-албанского алфавита генетически и типологически связана со структурой грузинского асомтаврули [Курдиани 1993: 25-26].

Второй релевантный признак, которым противопоставлены грузинское асомтаврули и кавказско-албанский алфавит еркатагиру, заключается в том, что большая часть графем кавказско-албанского алфавита, подобно грузинскому (Р.Патаридзе, В.Боздер, Е.Мачавариани, Т.Чхенкели, Т.Гамкрелидзе и др.), представляет собой комбинацию вертикальной линии и окружности//полуокружности. В грузинском асомтаврули число таких графем составляет 21 [Патаридзе 1980: 153], причем, из них 14 букв имеют нераскрытые окружности. В кавказско-албанском алфавите 28 таких графем, включая 12 имеющих нераскрытые окружности. Показательно, что в армянском алфавите можно найти всего одну такую букву<sup>2</sup> – **Փ**, причем, и та, безусловно, заимствована из

<sup>2</sup> В армянском имеется группа знаков, которая близка к указанному графическому типу, это: **Ն**, **Ե**, **Կ**, **Ը**, **Թ**, **Շ**, **Պ**, **Պ**, **Պ**, **Պ**, **Պ**, **Պ**. В действительности же, исходя из графической структуры армянского алфавита, эти буквы необходимо отнести к другой графической группе – к т.н. подковообразным графемам. Представленные знаки были образованы

греческого алфавита.

Таким образом, можно заключить, что широко примененный при создании грузинского асомтаврули и кавказско-албанского алфавита способ графемотворчества (с его помощью разработано более половины знаков грузинского и албанского алфавитов) совсем не реализован в армянской письменности.

Кавказско-албанский алфавит и армянский еркатагир являются графическими системами, основанными на принципе условности (что указывает на их искусственный характер), но пользуются они различными признаками: если при создании кавказско-албанского алфавита в качестве основных графических форм, подобно грузинскому алфавиту, взяты окружность (//полуокружность) и вертикальная линия, то в армянском алфавите для создания графических групп использованы готовые, уже имеющие определенные начертания формы [Севак 1962].

Исследование кавказско-албанского алфавита показало, что участие Маштоца (//Месропа) в создании албанской письменности не подтверждается. Если бы кавказско-албанский был создан Маштоцем, то он был бы основан на парадигматике армянского алфавита, как последний основан на греческой срв.: армянский, который использует 21 букву классического греческого алфавита, т.е. № 1-24, не считая «эписемонов» и **ξ** «кси», точно сохраняя их порядок следования и фонетические значения, не считая **ι** и **ι̇**, но и это фонемы с близким звучанием.

В свою очередь, при сравнении армянского и кавказско-албанского алфавитов выясняется, что, как минимум, четыре албанские буквы находятся не «на своих местах» (не соответствуют аналогичным по звучанию армянским буквам): армянской **Յ** (**j**) соответствует албанская **յ** (**q**); армянской **Չ** (**z**) – албанская **չ** (**γ**)...

Для нас неприемлемо мнение ученых, *a priori* считавших, что албанский алфавит – продукт творчества создателя армянской азбуки. Данное предположение не подтверждается сравнительным анализом как парадигматики, так и графики. Это не означает того, что мы полностью отрицаем какое-либо влияние армянского алфавита на кавказско-албанский. По нашему мнению, кавказско-албанский из закавказских алфавитов самый поздний, и его создатель в процессе разработки учитывал особенности как грузинского, так и армянского алфавитов.

путем усечения одной из ножек «подковы»: **U** > Ն > Ե > Կ; Ժ < **U**; **Π** > Ը > Թ > Ը; Գ < Պ < Դ < Դ < **Π**.

**Сравнительная таблица кавказско-албанского, армянского и греческого алфавитов**

№	Албанский	Фонетическое значение	№	Армянский	Фонетическое значение	№	Греческий	*фонетическое значение
1	ա	a	1	Ա ա	a	1	Α α	a
2	բ	b	2	Բ բ	b	2	Β β	b
3	ց	g	3	Գ գ	g	3	Γ γ	g
4	*ձ	*d	4	Դ դ	d	4	Δ δ	d
5	է	e	5	Ե ե	e	5	Ε ε	e
6	զ	z	6	Զ զ	z	7	Ζ ζ	z
7	ը	ej [*e <sub>o</sub> ]	7	Է է	[ē]	8	Η η	ē
8	բ	*ž	8	Ը ը	ə			
9	յ	t	9	Թ թ	t	9	Θ θ	t
10	լ	*č <sub>o</sub>						
11	յ	j						
12	չ	*ž <sub>o</sub>	10	Ճ ճ	ž			
13	ի	i	11	Ի ի	i	10	Ι ι	i
14	կ	š <sub>o</sub>						
15	ղ	l	12	Լ լ	l			
16	*ղ	*i <sub>o</sub>						
17	խ	x	13	Խ խ	x			
18	ծ	*d <sub>o</sub>						
19	ժ	*č	14	Ծ ծ	č			
20	ժ	*ž <sub>o</sub>						
21	կ	k	15	Կ կ	k	11	Κ κ	k
22	*լ	*l'				12	Λ λ	l
23	հ	h	16	Հ հ	h			
24	ձ	*	17	Զ ձ	ž			

25	*շ	*d <sub>o</sub>	18	Ղ ղ	† [γ]			
26	ւ	*č <sub>o</sub>						
27	ճ	*č	19	Ճ ճ	č			
28	*ծ	*č <sub>o</sub>						
29	մ	m	20	Μ μ	m	13	Μ μ	m
30	ն	n	21	Ν ν	j			
31	ն	n	22	ν ν	n	15	Ν ν	n
32	չ	ž?						
33	ժ	*š	23	Շ շ	š	16	Ξ ξ	ks
34	ջ	ž?						
35	օ	o	24	Ο ο	o	17	Ο ο	o
36	լ	*t <sub>o</sub>						
37	յ	*q						
38	չ	*ž						
39	չ	č	25	Չ չ	č			
40	բ	p	26	Պ պ	p	18	Π π	p
41	ց	γ	27	Ջ ճ	ž			
42	լ	r	28	Ռ ռ	ř	19	Ρ ρ	r
43	հ	s	29	Ս ս	s	20	Σ σ	s
44	վ	v	30	Վ վ	v			
45	տ	t	31	Տ տ	t	21	Τ τ	t
46	ռ	*s <sub>o</sub>	32	Ր ρ	r			
47	ւ	*O <sub>o</sub>						
48	յ	*č <sub>o</sub>						
49	ր	*c	33	Ր ρ	c			
50	ւ	w	34	Ր ρ	w	22	Υ υ	w
51	փ	p	35	Փ φ	p	23	Φ φ	p
52	կ	k	36	Ք ρ	k	24	Χ χ	k

*Примечание:* \* (звездочка) в графе знаков кавказско-албанского алфавита обозначает не подтвержденную в палимпсесте или эпиграфических памятниках графему;  
\* (звездочка) в графе фонетических значений кавказско-албанского алфавита обозначает предположительное значение;

знак **ა** употреблен для обозначения фарингализованных звуков.

Транскрипция греческих знаков приведена условно, в зависимости от того, каким образом они были переданы в закавказских алфавитах.

Для сравнения не привлечен грузинский алфавит, который от №1-ой буквы до №24-ой повторяет греческий алфавитный порядок.

**ა**

цветом обозначены случаи совпадения позиций албанских, армянских и греческих букв.

**\*d**

цветом обозначены случаи возможного совпадения позиций албанских, армянских и (/или) греческих букв.

**\*ž**

цветом обозначены случаи однозначного несовпадения позиций албанских и армянских букв.

**l**

цветом обозначены случаи совпадения позиций албанских и армянских букв, и возможный диапазон этого совпадения.

**г**

цветом обозначены случаи совпадения позиций только лишь албанских и греческих букв.

### გამოყენებული ლიტერატურა (Использованная литература)

**აბრამიანი 1964 (Абрамян 1964)** – Абрамян А. Г., Дешифровка надписей кавказских агван, Ереван, 1964.

**ადონცი 1915 (Адонц 1915)** – Адонц Н. Г., Армянская литература, Новый энциклопедический словарь Ф. А. Брокгауза и И. А. Ефрона, т. III, Петроград, 1915.

**ეპისტოლეთა წიგნი 1968 (Книга эпистол 1968)** – ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბილისი, 1968.

**მოვსეს ხორენაცი 1913 (Мовсес Хоренаци 1913)** – Մովսէս Խորենացու, Պատմութիւն հայոց, Տիբրիս, 1913.

**მოვსეს კალაკანტუაცი 1985 (Мовсес Каланкатуаци 1985)** – მოვსეს კალაკანტუაცი, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი,

შენიშვნები და საძიებელი დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბილისი, 1985.

**მხითარ აირივანეცი 1990 (Мхитар Айриванеци 1990)** – მხითარ აირივანეცი, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბილისი, 1990.

**პატარიძე 1980 (Патаридзе 1980)** – პატარიძე რ., ქართული ასომთავრული, თბილისი, 1980.

**სევაკი 1962 (Севак 1962)** – Մելակ Գ., Մեսրոպ Մաշտոց Հայկական գրերի ու մատենագրության սկզբնավորում, Երևան, 1962.

**უხტანესი 1975 (Ухтанес 1975)** – უხტანესი, ისტორია განყოფისა სომეხთა ქართველთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბილისი, 1975.

**ქურდიანი 1993 (Курдиани 1993)** – ქურდიანი მ., ალბანური ასომთავრული (გრაფიკული სტრუქტურა და გენეზისის პრობლემა), არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 52-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 1993.

**ღაზარ ფარპეცი 1904 (Газар Парпеци 1904)** – Ղազար Փարպեցի, Պատմութիւն հայոց, Տիբրիս, 1904.

**შანიძე 1957 (Шанидзе 1957)** – Шанидзе А. Г., Порядок букв грузинского, армянского и албанского алфавитов, Труды музея истории Азербайджана Академии наук Азербайджанской ССР, т. II, Баку, 1957.

**ჯავახიშვილი 1935 (Джавахишвили 1935)** – ჯავახიშვილი ივ. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1935.